



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ინოვაციური საქმიანობის შესახებ ევროპის
კონსტრუქციონისტურ ძვეყნებში

ვლადიმერ კავაპა

132

ეპსკერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ვლადიმერ პაპავა

**ინოვაციური საქმიანობის შესახებ ევროპის
კონსტრუქციონისტურ ქვეყნებში**

132

2020



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2020 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, რომლებსაც მეტ-ნაკლებად ერთნაირი კომუნისტური წარსული აქვთ. წინამდებარე კვლევაში ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების პრობლემა განხილულია ევროკავშირის 11 (ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი და ხორვატია) და აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყნის (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა), ასევე რუსეთის ფედერაციის მაგალითზე. ამ ქვეყნებში ინოვაციურ სფეროში არსებული მდგომარეობა შედარებულია თავად ევროკავშირისა და მასში შემავალი არაპოსტკომუნისტური ქვეყნების ინოვაციურ სფეროში შექმნილ მდგომარეობასთან.

წინამდებარე კვლევის მიზანია მაკრო დონეზე შევისწავლოთ ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების ძირითადი მიმართულებები ევროპის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში.

როგორც ცნობილია, ინოვაციური საქმიანობის დასახასიათებლად გამოიყენება გლობალური ინოვაციების ინდექსი. ის ასახავს ინოვაციის სხვადასხვა ასპექტს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სწორი ორიენტირების შექმნას გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და რესურსების მწარმოებლურობის ამალღებისათვის, ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის.

მსოფლიოს 129 ქვეყნის მაგალითზე გლობალური ინოვაციების ინდექსის გათვლის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგები 2019 წლისათვის მოცემულია ქვემოთ, ცხრილში 1¹.

ცხრილი 1

გლობალური ინიციატივების ინდექსი და ქვეყნების რანჟირება 2019 წელს

№	ქვეყნები	გლობალური ინიციატივების ინდექსის დონე და ქვეყნის ადგილი მსოფლიოში	
		ქულათა რაოდენობა (0-დან 100-მდე)	ადგილი მსოფლიოში
ევროკავშირის არაპოსტკომუნისტური ქვეყნები			
1	ავსტრია	50,94	21
2	ბელგია	50,18	23
3	გაერთიანებული სამეფო	61,30	5
4	გერმანია	58,19	9
5	დანია	58,44	7
6	ესპანეთი	47,85	29
7	ირლანდია	56,10	12
8	იტალია	46,30	30
9	კვიპროსი	48,34	28
10	ლუქსემბურგი	53,47	18
11	მალტა	49,01	27
12	ნიდერლანდები	61,44	4
13	პორტუგალია	44,65	32
14	საბერძნეთი	38,90	41
15	საფრანგეთი	54,25	16
16	ფინეთი	59,83	6
17	შვედეთი	63,65	2

ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნები			
18	ბულგარეთი	40,35	40
19	ესტონეთი	49,97	24
20	ლატვია	43,23	34
21	ლიეტუვა	41,46	38
22	პოლონეთი	41,31	39
23	რუმინეთი	36,76	50
24	სლოვაკეთი	42,05	37
25	სლოვენია	45,25	31
26	უნგრეთი	44,51	33
27	ჩეხეთის რესპუბლიკა	49,43	26
28	ხორვატია	37,82	44
აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები			
29	აზერბაიჯანი	30,21	84
30	ბელარუსი	32,07	72
31	მოლდოვა	35,52	58
32	საქართველო	36,98	48
33	სომხეთი	33,98	64
34	უკრაინა	37,40	47
35	რუსეთის ფედერაცია	37,62	46

საყურადღებოა, რომ გლობალური ინოვაციების ინდექსის დონის მიხედვით, მსოფლიო ლიდერები არიან შვეიცარია, შვედეთი და აშშ².

ცხრილი 1-ის თანახმად, ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის გლობალური ინოვაციების ინდექსის დონის ლი-

დერება ესტონეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა, რომლებიც მსოფლიოში, შესაბამისად, 24-ე და 26-ე ადგილებზე გავიდნენ. თანაც, ისინი უსწრებენ ევროკავშირის ისეთ არაპოსტკომუნისტურ ქვეყნებს, როგორცაა ესპანეთი, იტალია, კვიპროსი, მალტა, პორტუგალია და საბერძნეთი.

ცხრილი 1-ის მიხედვით, გლობალური ინოვაციების ინდექსის დონე ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ბულგარეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და უნგრეთი, მეტნაკლებად დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ისინი მსოფლიოს მასშტაბით წარმატებული ქვეყნების მეოთხე ათეულში შედიან. თანაც ევროკავშირის არაპოსტკომუნისტური ქვეყნებიდან საბერძნეთსაც კი უსწრებენ.

გლობალური ინოვაციების ინდექსის დონის მიხედვით, ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის შედარებით ჩამორჩენილი არიან ხორვატია და რუმინეთი, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით, შესაბამისად, 44-ე და 50-ე ადგილებს იკავებენ.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და რუსეთს შორის გლობალური ინოვაციების ინდექსის მიხედვით მონინავე ქვეყნებია რუსეთი, უკრაინა და საქართველო, რომლებიც, შესაბამისად, 46-ე, 47-ე და 48-ე ადგილებზე არიან და უსწრებენ ევროკავშირის მხოლოდ ერთ პოსტკომუნისტურ ქვეყნას – რუმინეთს, რომელიც 50-ე ადგილზეა. აღმოსავლეთ პარტნიორობის დანარჩენი ქვეყნებიდან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა მოლდოვაში, რომელიც 58-ე ადგილზეა. ამკარად უარესი მდგომარეობაა სომხეთში, ბელარუსსა და აზერბაიჯანში, რომელთაც, შესაბამისად, 64-ე, 72-ე და 84-ე ადგილები უკავიათ.

ევროკავშირის პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა მბრძანებლური ეკონომიკიდან მემკვიდრეობით მიღებული ინოვაციური პოტენციალი ვერ შეინარჩუნეს, რადგანაც იგი ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა აითვისეს³.

საყურადღებოა, რომ „კომბინატორული ნანამატის“ პროცესი⁴ ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში განსაკუთრებული სპეციფიკით გამოვლინდა. კერძოდ, ახალი ტექნოლოგიების კონცენტრაცია უმთავრესად დასავლეთ-ევროპულ ქვეყნებში მოხდა, ხოლო ძველ ტექნოლოგიებს ადგილი ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მიუჩინეს⁵. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს ტრანსნაციონალური კორპორაციები რეტროეკონომიკის⁶ პლაცდარმად იყენებენ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნები, არაპოსტკომუნისტურ ქვეყნებთან შედარებით, მაღალტექნოლოგიური წარმოების დონითაც აშკარად უარეს მდგომარეობაში არიან⁷, რისი დასტურიცაა არაპოსტკომუნისტურ ქვეყნებში მაღალტექნოლოგიური წარმოების ხვედრითი წონა, რომელიც მთლიანად ევროკავშირის მიხედვით 2015 წელს 91,02 პროცენტზე ნაკლები არ იყო⁸.

ინოვაციურ საქმიანობას ის ადამიანი ახორციელებს, რომელიც სამეწარმეო ფუნქციებითაა დაკავებული.

ინოვაციური საქმიანობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამეცნიერო ბრუნვაში თანდათან ადგილს იმკვიდრებს „ინოვაციური ადამიანის“ მოდელი, რომელიც შესაბამის ლიტერატურაში გვხვდება ორი ვარიანტით (და რომელთაც ერთნაირი შინაარსობრივი დატვირთვა აქვთ) – როგორც *homo innovatus*-ი⁹ და *homo innovaticus*-ი¹⁰.

homo innovaticus-ი არის ადამიანის აბსტრაქტული მოდელი, რომლის განმსაზღვრელი ნიშნებია¹¹:

- ახალი იდეების გენერირება და მათი რეალიზაციის უზრუნველყოფა;
- სწავლის მიმართ მუდმივი მზადყოფნა;
- მობილურობა, როგორც გეოგრაფიული, ისე, კიდევ უფრო მეტად, მენტალური კუთხით;
- გახსნილობა და რისკიანობა;
- ვიწრო-სპეციალურ მომზადებასთან ერთად ფართო სპექტრის ზოგადი ცოდნა;
- კვლევითი და საპროექტო უნარების თავსებადობა;
- სტრატეგიული აზროვნების და ტაქტიკური მოქმედების უნარი;
- ნდობისა და პარტნიორული ურთიერთობების თვისებები;
- კოოპერაციული ხასიათის თანამშრომლობის უნარი.
- წარმოდგენელია, რომ ყველა ამ თვისების მატარებელი ერთი კონკრეტული ადამიანი იყოს. სინამდვილეში, მათი ერთობლიობა პრაქტიკულად ათასობით ადამიანშია, რომლებიც მენეჯერების, მკვლევარების, გამომგონებლების, ანალიტიკოსების და სხვა ფუნქციებს ასრულებენ¹².

გასათვალისწინებელია, რომ *homo innovaticus*-ი თავისი ბუნებით მომავალზე ორიენტირებული ადამიანია. მომავალი *homo innovaticus*-ისთვის ის „ტერიტორიაა, რომელიც ექვემდებარება დაპყრობას და კოლონიზაციას“¹³. მაშასადამე, იმისთვის, რომ უფრო უკეთესად წარიმართოს ინოვაციური საქმიანობა, აუცილებელია ხელი შეეწყოს *homo sapiens*-ის *homo innovaticus*-ად ტრანსფორმირების პროცესს¹⁴.

მომავალზე ორიენტირება კი პრაქტიკულად შეუძლებელია, თუ საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმის გარემო¹⁵ არ არის შექმნილი. ოპტიმიზტი, როგორც წესი, მაღალი რისკის მიუხედავად, ესწრაფვის მაქსიმალური სარგებლის მიღებას, პესიმიზტი კი ცდილობს რისკის მინიმიზაციას გარანტირებული სარგებლის მიღების პირობებში¹⁶.

საზოგადოებაში ეკონომიკური პესიმიზმის გარემო, როგორც წესი, იქმნება იმ ქვეყნებში, რომელთაც ახასიათებთ პოლიტიკური, სამართლებრივი ან/და მაკროეკონომიკური არასტაბილურობა, რის გამოც ამ ქვეყნებში მოქმედ ფირმებს ურჩევნიათ არა გრძელვადიანი, სტრატეგიული ხასიათის, არამედ მეტწილად მოკლევადიანი, ტაქტიკური ამოცანების გადაჭრა¹⁷. ასეთი ვითარება ქმნის „ტექნოლოგიურ მახეს“, როცა ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლის რეალური შესაძლებლობის მიუხედავად, ფირმა უპირატესობას არსებული, თუნდაც მოძველებული, ტექნოლოგიების გამოყენებას ანიჭებს; ეს კი ხსენებული არასტაბილურობითაა განპირობებული, როცა მომავალთან დაკავშირებული რისკები შედარებით მაღალია¹⁸.

მაშასადამე, პოლიტიკური, სამართლებრივი თუ მაკროეკონომიკური არასტაბილურობისას ფირმები რეტროეკონომიკის ტექნოლოგიურ მახეში დარჩენას ამჯობინებენ, რადგანაც ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლა შედარებით მაღალ რისკებს შეიცავს. ეს კი იმით აიხსნება, რომ ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლისათვის ფირმამ საკუთარი მომავალი ისეთ გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა განიხილოს, რაც ახალ ტექნოლოგიებზე განსახორციელებელი ინვესტიციების სრული გამოსყიდვისთვის იქნება საჭირო¹⁹.

იმისათვის, რომ საზოგადოებაში ამაღლდეს ეკონომიკური ოპტიმიზმი, ხსენებული პოლიტიკური, სამართლებრივი ან/და მაკროეკონომიკური არასტაბილურობის დაძლევის გარდა, აუცილებელია მიღწეული იყოს მთელი ეკონომიკის შედარებით მაღალი ტემპებით ზრდა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ეკონომიკაში ისეთი ემოციური გარემოს შექმნას, როცა ამ ბაზრის ყოველი სუბიექტი ასევე იქნება დაინტერესებული, რომ ჰქონდეს ზრდის მაღა-

ლი ტემპი. სხვა სიტყვებით, ტექნოლოგიური მახის დასაძლევად აუცილებელია „ტექნოლოგიური ნახტომი“, რათა ფირმებს თვისებრივად ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლის ინტერესი გაუჩნდეთ.

იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ევროპის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება, აუცილებელია გაანალიზდეს, თუ რამდენადაა ამ ქვეყნებში ეკონომიკური ოპტიმიზმის გარემო ჩამოყალიბებული, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, უშუალოდ აისახება *homo innovaticus*-ის მოქმედებაზე.

როგორც ცნობილია, ევროკავშირის თერთმეტივე პოსტკომუნისტური ქვეყანა ნატოს წევრი ქვეყანაცაა, რაც სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მათ უსაფრთხოებას უნდა განაპირობებდეს. ეჭვგარეშეა, რომ ყველა ამ ქვეყანაში როგორც ევროკავშირის, ისე ნატოს წევრობა ქმნის პოლიტიკური სტაბილურობის ობიექტურ საფუძვლებს. სხვა თანაბარ პირობებში ეს სამართლებრივი სტაბილურობის შედარებით მაღალ დონესაც უწყობს ხელს, რადგან ევროკავშირიც და ნატოც წევრი-სახელმწიფოებისთვის სტაბილურ სამართლებრივ ჩარჩოს ქმნიან. იმავდროულად ეს ჩარჩო სულაც არ აღმოჩნდა ის შემზღუდავი ბარიერი, რომ ამ გაერთიანებების რომელიმე წევრი ქვეყანა არ გასცდეს მას და არ გადაუხვიოს ევროატლანტიკურ ფასეულობებს. სამწუხაროა, რომ ამის პრეცედენტი შექმნეს პოლონეთმა²⁰ და უნგრეთმა²¹.

მნიშვნელოვანი პრობლემაა მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება და ამის დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს:

1. მცდარმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელსაც ევროკავშირის ისა თუ ის ქვეყნა გაატარებს;
2. კრიზისულმა ვითარებამ ევროკავშირში, რისი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ევროზონის კრიზისი.

მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის (რასაც სხვადასხვა მიზეზი ინვესტ²²) მაგალითს ისევ და ისევ უნგრეთი წარმოადგენს, რომელიც 2021-2027 წლების საბიუჯეტო პოლიტიკასთან დაკავშირებითაა ევროკავშირთან დაპირისპირებული²³, რაც უნგრეთში მოქმედი ფირმებისთვის მაკროეკონომიკურად არასტაბილურ გარემოს ქმნის.

რაც შეეხება ევროზონის კრიზისს, რომელიც 2009 წელს დაიწყო²⁴, მან ევროზონის ქვეყნების მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე ძალზე სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონია²⁵. ყუ-

რადსაღებია, რომ ევროკავშირის თერთმეტი პოსტკომუნისტური ქვეყნიდან ევროზონის წევრია მხოლოდ ხუთი – ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, სლოვაკეთი და სლოვენია.

აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირი მოიცავდა დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლით, ანუ ბრექსიტით²⁶ გამოწვეულმა ეგზისტენციალურმა კრიზისმა, არაბული ქვეყნებიდან მიგრანტების მოზღვავეებით გამოწვეულმა კრიზისმა და ა.შ., რამაც, საბოლოო ჯამში, მთელ ევროპაში კომპლექსური კრიზისული ვითარება ჩამოაყალიბა²⁷. შედეგად, ევროკავშირში მოქმედ ფირმებს პოლიტიკურად, სამართლებრივად და მაკროეკონომიკურადაც არასტაბილურ გარემოში უხდებათ საქმიანობა.

ევროკავშირში პოლიტიკური, სამართლებრივი და მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა დამოკიდებულია არა მარტო თავად ევროკავშირის მმართველი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, არამედ იმაზეც, თუ რამდენად შეესაბამება ამ გადაწყვეტილებებს ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების მთავრობათა მიერ გადადგმული ნაბიჯები.

უკვე არაერთი წელია აშკარად გამოხატული არასტაბილური პოლიტიკური, სამართლებრივი და მაკროეკონომიკური გარემოა ჩამოყალიბებული აღმოსავლეთ პარტნიორობის ისეთ ქვეყნებში, როგორცაა მოლდოვა, საქართველო და სომხეთი. მართალია, როგორც აზერბაიჯანსა და ბელარუსში, ისე რუსეთში პოლიტიკური სტაბილურობა შენარჩუნებულია, მაგრამ ამ ქვეყნებში ჩამოყალიბებული მმართველობის არადემოკრატიული რეჟიმები (დემოკრატიის ინდექსის მიხედვით, 2018 წელს აზერბაიჯანი მსოფლიოს 167 ქვეყანას შორის იყო 149-ე, ბელარუსი – 137-ე, ხოლო რუსეთი 144-ე ადგილზე²⁸) და კორუფციის შედარებით მაღალი დონე (კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, 2018 წელს აზერბაიჯანი მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის იყო 152-ე, ბელარუსი – 70-ე, ხოლო რუსეთი – 138-ე ადგილზე²⁹) არ ქმნის ეკონომიკის განვითარებისთვის სამართლიან გარემოს, რაც უშუალოდ აისახება ამ ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე.

ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები კი, როგორც ზემოთ ითქვა, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმის გარემოს შექმნას. ცხრილში 2 მოცემულია ევროკავშირის პოსტკომუნისტურ, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და რუსეთში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები გლობალური ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის წინ და მისი დასრულებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, რითაც მეტ-ნაკლებად

ნიველირებული უნდა იყოს ამ კრიზისის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე ზეგავლენის შესაძლებლობა.

ცხრილი 2

ევროკავშირის პოსტკომუნისტურ, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და რუსეთში ეკონომიკური ზრდის კორექტირებული და ფაქტობრივი მაჩვენებლები 2006 და 2016 წლებში

№	ქვეყნები 2006	წლები		
			2016	
ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნები				
1	ბულგარეთი	კორექტირებული	2,597773	1,909853
		ფაქტობრივი	6,8	3,9
2	ესტონეთი	კორექტირებული	6,663904	1,561366
		ფაქტობრივი	10,3	2,1
3	ლატვია	კორექტირებული	6,297633	1,366986
		ფაქტობრივი	11,9	2,1
4	ლიეტუვა	კორექტირებული	4,09815	1,730049
		ფაქტობრივი	7,4	2,3
5	პოლონეთი	კორექტირებული	3,153989	2,032618
		ფაქტობრივი	6,2	2,9
6	რუმინეთი	კორექტირებული	3,180456	2,728071
		ფაქტობრივი	8,1	4,6
7	სლოვაკეთი	კორექტირებული	5,387006	2,543542
		ფაქტობრივი	8,5	3,3
8	სლოვენია	კორექტირებული	4,933489	2,600663
		ფაქტობრივი	5,7	3,1
9	უნგრეთი	კორექტირებული	2,397438	1,490855
		ფაქტობრივი	3,9	2,2
10	ჩეხეთის რესპუბლიკა	კორექტირებული	5,511595	2,293351
		ფაქტობრივი	6,9	2,6

11	ხორვატია	კორექტირებული	2,729285	1,787114
		ფაქტობრივი	4,8	3
აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები				
12	აზერბაიჯანი	კორექტირებული	11,38706	-1,34481
		ფაქტობრივი	34,5	-3,1
13	ბელარუსი	კორექტირებული	3,824182	-1,18067
		ფაქტობრივი	10	-2,6
14	მოლდოვა	კორექტირებული	0,514133	0,549841
		ფაქტობრივი	4,8	4,1
15	საქართველო	კორექტირებული	1,573437	0,70453
		ფაქტობრივი	9,4	2,8
16	სომხეთი	კორექტირებული	2,485313	0,044429
		ფაქტობრივი	13,2	0,2
17	უკრაინა	კორექტირებული	1,760887	0,47756
		ფაქტობრივი	7,3	2,3
18	რუსეთის ფედერაცია	კორექტირებული	4,106786	-0,112447
		ფაქტობრივი	8,2	-0,2
19	ევროკავშირი		3,3	1,9

ცხრილში 2 მოცემული ეკონომიკური ზრდის ფაქტობრივი მაჩვენებლები მსოფლიო ბანკის გაანგარიშებულია³⁰, ხოლო კორექტირებული მაჩვენებლები კი – ჩვენი³¹.

ეკონომიკური ზრდის კორექტირებული მაჩვენებლები ფაქტობრივიდან იმით განსხვავდება, რომ ე.წ. „მკვეთრი ზრდის ეფექტს“³² გამორიცხავს, რაც უფრო ადეკვატურად აფასებს ამა თუ იმ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის რეალურ დონეს. ხსენებული ეფექტის გამორიცხვის მეთოდი³³ საჭიროებს ეკონომიკური ზრდის ე.წ. „ეტალონური“ მაჩვენებლის შერჩევას. ცხრილში 2 მოცემული თითოეული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის კორექტირებული მაჩვენებელი გაანგარიშებისას ამ „ეტალონურ“ მაჩვენებლად თავად ევროკავშირის ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდაა აღებული. ეს კი იძლევა საშუალებას, რომ უშუალოდ ევროკავშირთან მიმართებაში

იქნეს შეფასებული, თუ რამდენად უწყობს ხელს ევროკავშირის ამა თუ იმ წევრ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის დონე ეკონომიკური ოპტიმიზმის ჩამოყალიბებას.

ცხრილი 2 გვიჩვენებს, რომ ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან ეკონომიკური ზრდის კორექტირებული მაჩვენებლების მიხედვით 2006 წელს, ანუ გლობალური ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის დაწყებამდე, ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა ესტონეთში, ლატვიაში, ლიეტუვაში, სლოვაკეთში, სლოვენიაში და ჩეხეთის რესპუბლიკაში. იმავდროულად, ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის დონეს ჩამორჩებოდნენ ბულგარეთი, პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი და ხორვატია. მათგან კი ყველაზე ცუდი მდგომარეობა უნგრეთში დაფიქსირდა.

2016 წელს ევროკავშირთან შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდა ევროკავშირის პოსტკომუნისტურ სახელმწიფოთა შორის გამოვლინდა პოლონეთში, რუმინეთში, სლოვაკეთში, სლოვენიაში და ჩეხეთის რესპუბლიკაში, ხოლო ბულგარეთის ეკონომიკური ზრდის კორექტირებული მაჩვენებელი სულ მცირედით აღემატებოდა ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის დონეს. ამასთან, არასახარბიელო ვითარება შეიქმნა ესტონეთში, ლატვიაში, ლიეტუვაში, უნგრეთსა და ხორვატიაში.

2006 და 2016 წლების ეკონომიკური ზრდის კორექტირებული მაჩვენებლების ერთობლივი განხილვა იმის საშუალებას იძლევა, რომ ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის გამოვყოთ ისეთები, რომელთა ეკონომიკური ზრდის დონე ევროკავშირის ანალოგიურ მაჩვენებლებს სტაბილურად აღემატება. ცხრილი 2-დან ჩანს, რომ ეს ქვეყნებია სლოვაკეთი, სლოვენია და ჩეხეთის რესპუბლიკა. მაშასადამე, ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის სწორედ ამ სამ ქვეყანაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეკონომიკური ზრდა საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ამ თვალსაზრისით ყველაზე ცუდი ვითარებაა უნგრეთსა და რუმინეთში, როცა ეკონომიკური ზრდა ამ ქვეყნებში საზოგადოებაში ეკონომიკური პესიმიზმის გარემოს ჩამოყალიბებას უფრო უწყობს ხელს. ევროკავშირის დანარჩენ პოსტკომუნისტურ ქვეყნებს კი არასტაბილური სიტუაცია ახასიათებთ, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ქვეყნებში შესაძლებელია არსებული ვითარების შეცვლა, რადგანაც უკვე ჰქონდათ ევროკავშირთან შედარებით უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა. ეს კი აშკარად დამაიმედებელია, რომ ეროვნული მთავრო-

ბების მიზანმიმართული მოქმედების შედეგად ამ ქვეყნებშიც მოხერხდეს ევროკავშირთან შედარებით უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და რუსეთში, ფაქტობრივად, ბევრად უფრო რთული ვითარებაა შექმნილი. ცხრილი 2-ის თანახმად, მართალია, 2006 წელს ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის დონეს, კორექტირებული მაჩვენებლის მიხედვით, გადააჭარბეს აზერბაიჯანმა, ბელარუსმა და რუსეთმაც, თუმცა 2016 წელს ამ ქვეყნებში უკვე ეკონომიკური ვარდნა დაფიქსირდა. იმის მიუხედავად, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის დანარჩენ ქვეყნებში ორივე 2006 და 2016 წლებში მხოლოდ ეკონომიკური ზრდა (და არა ვარდნა) დაფიქსირდა, ამ ზრდის კორექტირებული მაჩვენებლები აშკარად ჩამორჩებოდა ევროკავშირის ეკონომიკურ ზრდას. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ამ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური ზრდის დონე, სამწუხაროდ, არ იძლევა საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმის გარემოს ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ:

1. ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნები უმთავრესად ძველი ტექნოლოგიების თავმოყრის ადგილია, ხოლო ახალი ტექნოლოგიები ძირითადად დასავლეთ-ევროპულ ქვეყნებში გამოიყენება. ახალი ტექნოლოგიების დეფიციტი კიდევ უფრო მწვავეა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და რუსეთში;
2. ინოვაციური საქმიანობის შემოქმედი *homo innovaticus*-ი ადამიანის აბსტრაქტული მოდელია, რომელიც მომავალზეა ორიენტირებული, რის გამოც დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენადაა საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმის გარემო ჩამოყალიბებული;
3. საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმის გარემოს ჩამოყალიბება მხოლოდ პოლიტიკური, სამართლებრივი და მაკროეკონომიკური სტაბილურობის შემთხვევაშია შესაძლებელი. არასტაბილურ ვითარებაში კი ფირმას ურჩევნია ისევ და ისევ არსებული, მოძველებული ტექნოლოგიები გამოიყენოს, რადგანაც არასტაბილურობით გამოწვეული განუსაზღვრელობის გამო მომავალთან დაკავშირებული რისკები იზრდება;

4. ფაქტობრივად, არც ევროკავშირის და არც ნატოს ნევრობა არ არის საკმარისი, რომ რომელიმე მათ ნევრ ქვეყანაში გამოირიცხოს პოლიტიკური და სამართლებრივი არასტაბილურობა, რისი მაგალითიცაა პოლონეთი და უნგრეთი;
5. მაკროეკონომიკური სტაბილურობის დარღვევის მკაფიო მაგალითს იძლევა უნგრეთი;
6. თავად ევროკავშირში არასტაბილურობის არაერთმა გამომწვევმა მიზეზმა იჩინა თავი, რომელთაგან განსაკუთრებით ყურადსაღებია 2009 წლიდან დაწყებული სავალო კრიზისი, ბრექსიტით გამოწვეული ევროკავშირის ეგზისტენციალური პრობლემა, არაბული ქვეყნებიდან მიგრანტების მოზღვავება და სხვა;
7. ევროკავშირის პოსტკომუნისტური, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისა და რუსეთის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებიდან „მკვეთრი ზრდის ეფექტის“ გამორიცხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ ქვეყნებს შორის მხოლოდ სლოვაკეთს, სლოვენიასა და ჩეხეთის რესპუბლიკას აქვთ სტაბილურად უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა, ვიდრე თავად ევროკავშირშია. სწორედ ეს სამი პოსტკომუნისტური ქვეყანა ქმნის ეკონომიკური ზრდის დონითა და სტაბილურობით საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმისათვის შესატყვის გარემოს, რასაც *homo innovaticus*-ის გააქტიურებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს;
8. ყველაზე ცუდ ვითარებაში ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის არიან უნგრეთი და რუმინეთი, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები და რუსეთი, რომელთა ეკონომიკური ზრდის დონე ეკონომიკური პესიმიზმის ჩამოყალიბებას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე ეკონომიკური ოპტიმიზმის გარემოს შექმნაზეა ორიენტირებული.

შენიშვნები

1. Dutta S., Lanvin B., Wunsch-Vincent S., eds. *Global Innovation Index 2019: Creating Healthy Lives – The Future of Medical Innovation*. 12th Edition. Geneva and New Delhi, World Intellectual Property Organization and Confederation of Indian Industry, 2019, pp. xxxiv- xxxv, <www.globalinnovationindex.org/gii-2019-report>.
2. იქვე, გვ. xxxiv.
3. Власкин Г. А., Ленчук Е. Б. «Инновационное измерение промышленной политики стран Центральной и Восточной Европы». *Инновации*, 2005, № 3 (80), ც. 66.
4. Сухарев О. С. «Новые комбинации в экономике и принцип комбинаторного наращения». *Экономический анализ: теория и практика*, 2013, № 25 (328), <www.cyberleninka.ru/article/n/novye-kombinatsii-v-ekonomike-i-printsip-kombinatornogo-narascheniya>; Сухарев О. С. «Технологическое развитие и модель эффекта «комбинаторного наращения» (инновационный тип экономического роста и поведение агентов)». В Шumpeterовские чтения. *Schumpeterian Readings. Материалы 4-й Международной научно-практической конференции The Fourth International Scientific Research Conference Proceedings*. Пермь: Издательство Пермского национального исследовательского политехнического университета, 2014, <www.sr.pstu.ru/files/SchumpeterianReadings2014.pdf>.
5. Papava V. “Catching Up and Catch-Up Effect: Economic Growth in Post-Communist Europe (Lessons from the European Union and the Eastern Partnership States)”. *European Journal of Economic Studies*, 2018, Vol. 7, No. 2, <www.ejournal2.com/journals_n/1537557942.pdf>.
6. Papava V. “Retroeconomics – Moving from Dying to Brisk Economy.” *Journal of Reviews on Global Economics*, 2017, Vol. 6, <www.lifescienceglobal.com/independent-journals/journal-ofreviewson-global-economics/volume-6/85-abstract/jrge/2929-abstractretroeconomics-%20moving-from-dying-to-brisk-economy>.
7. Papava V., 2019. On the Prospects for the Use of High Technologies in the European Union’s Post-Communist Countries. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, Vol. 13, No. 2.
8. Eurostat, “High-Tech Manufacturing Statistics, by Country, 2015.” *Eurostat, Statistics Explained*, 2018, <www.ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=File:High-tech_manufacturing_statistics,_by_country,_2015.png&oldid=377421>.
9. Formica P. “Viewpoint.” *Triple Helix Association Magazine – Hélice*, 2017, Vol. 6, Issue 3/4, <www.triplehelixassociation.org/helice/volume-6-2017/helice-vol-6-issue-3-4/viewpoint-piero-formica>; Shelton R. “From Homo Sapiens to Homo Innovatus, or How to Innovate Better.” *Park Innovaare*, 2018, November 21, <www.parkinnovaare.ch/from-homo-sapiens-to-homo-innovatus-or-how-to-innovate-better>.

10. Côté M. "Homo Innovaticus." *GAA Accounting. The Journal of the Global Accounting Alliance*, 2011, October 28, <www.gaaaccounting.com/homo-innovaticus/>; Lasshofer E. "The Homo Innovaticus." *Innovatis*, 2015, May 8, <www.innovatis-suisse.ch/the-homo-innovaticus/>; Другова Е. А. *Номо innovaticus: парадоксы и противоречия инновационного антропологического проекта*. Инновации, 2013, № 8 (178), <www.cyberleninka.ru/article/n/homo-innovaticus-paradoksy-i-protivorechiya-innovatsionnogo-antropologicheskogo-proekta/viewer>.
11. იქვე, გვ. 58.
12. იქვე.
13. Giddens A. *Runaway World. How Globalisation is Reshaping our Lives*. London, Profile Books, 2011, p. 22.
14. Shelton R. "From Homo Sapiens to Homo Innovatus..."
15. Балацкий Е. В. «Роль оптимизма в инновационном развитии экономики». *Общество и экономика*, 2010, № 1.
16. Кесельман Л. Е., Мацкевич М. Г. «Индивидуальный экономический оптимизм/пессимизм в трансформирующемся обществе». *Социологический журнал*, 1998, № 1-2.
17. **Балацкий Е. В. «Институциональные и технологические ловушки». *Журнал экономической теории*, 2012, № 2, сс. 56-57.**
18. Балацкий Е. В. «Экономический рост и технологические ловушки». *Общество и экономика*, 2003, № 11.
19. Балацкий Е. В. «Роль оптимизма в инновационном...».
20. მაგალითად, Bault O. "Brussels will Remain in Conflict with Poland Even with a New European Commission." *Vpost*, 2019, August 5, <www.visegradpost.com/en/2019/08/05/brussels-will-remain-in-conflict-with-poland-even-with-a-new-european-commission/>; Rankin J. "EU Challenges Poland Over Judicial Independence." *The Guardian*, 2019, October 10, <www.theguardian.com/world/2019/oct/10/eu-sues-poland-over-judicial-independence>.
21. მაგალითად, Dam P. "Don't be Fooled: Hungary's Government Remains a Threat to European Values." *euronews*, 2019, June 13, <www.euronews.com/2019/06/12/dont-be-fooled-hungary-s-government-remains-a-threat-to-european-values-view>; Kirchick J. "Is Hungary Becoming a Rogue State in the Center of Europe?" *The Brookings Institution*, 2019, January 7, <www.brookings.edu/blog/order-from-chaos/2019/01/07/is-hungary-becoming-a-rogue-state-in-the-center-of-europe/>.
22. Papava V. "On the Non-Economic Policy and the Post-Communist Experience of Georgia." *European Journal of Economic Studies*, 2019, Vol. 8, No. 2, <www.ejournal2.com/journals_n/1573764064.pdf>.
23. მაგალითად, Sályi D. "EU Budget 2021-2027: Conflict of Interests Brings Quarrels." *HungaryToday*, 2019, November 13, <www.hungarytoday.hu/eu-budget-hungary-conflicts/>.

24. მაგალითად, Amadeo K. "Eurozone Debt Crisis. Causes, Cures, and Consequences." *The Balance*, 2019, October 21, <www.thebalance.com/eurozone-debt-crisis-causes-causes-and-consequences-3305524>; Bilbao-Ubillos J., ed. *The Economic Crisis and Governance in the European Union: A Critical Assessment*. New York, Routledge, 2013; Petropoulos N., Tsobanoglou G. O., eds. *The Debt Crisis in the Eurozone: Social Impacts*. Newcastle, Cambridge Scholars Publishing, 2014.
25. მაგალითად, Lapavitsas C. *Crisis in the Eurozone*. London, Verso, 2012.
26. მაგალითად, Jacobs F. B. *The EU after Brexit: Institutional and Policy Implications*. Cham, Palgrave Pivot, 2018.
27. მაგალითად, Davis Cross M. K. *The Politics of Crisis in Europe*. Cambridge, Cambridge University Press, 2017.
28. EIU. *Democracy Index 2018: Me Too? Political Participation, Protest and Democracy*. London, The Economist Intelligence Unit, 2018, <www.eiu.com/Handlers/WhitepaperHandler.ashx?fi=Democracy_Index_2018.pdf&mode=wp&campaignid=Democracy2018>.
29. TI. *Corruption Perceptions Index 2018*. Berlin, Transparency International, 2018, <www.transparency.org/cpi2018>.
30. WB. GDP Growth (Annual %). *World Bank*, 2019, <www.data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG>.
31. Papava V. "Catching Up and Catch-Up Effect...," p. 118.
32. Mankiw N. G. *Principles of Economics*. Mason, Thomson South-Western, 2004, pp. 546-547.
33. Papava V. "Economic Growth in the Central Caucaso-Asian Countries Adjusted for the Catch-Up Effect." *Central Asia and the Caucasus*, 2012, Vol. 13, No. 4; Papava V. "The Catch-Up Effect and Regional Comparisons of Growth Indicators (With the Eastern Partnership Countries as an Example)." *Problems of Economic Transition*, 2014, Vol. 57, No. 3; Papava V. The Problem of the Catch-Up Effect and Post-Crises Economic Growth in the World Leading Countries. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 2016, Vol. 10, No. 4.